საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის

ბრძანება №2-5

2024 წლის 9 იანვარი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 27 დეკემბრის №2-1282 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 27 დეკემბრის №2-1282 ბრძანებაში (ვებგვერდი, 30/12/2019, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.023.016614) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული დებულების:

1. **მე-5 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტები:**

„ზ) გენეტიკური ტესტირების ლაბორატორია;

თ) პოლიმერების ტესტირების ლაბორატორია.“.

2. **მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-11 და მე-12 პუნქტები:**

„11. გენეტიკური ტესტირების ლაბორატორიის ფუნქციებია:

ა) გენოტიპირების ახალი მეთოდების დანერგვა ცხოველთა და მცენარეთა დაავადებების და სურსათის კვლევის მიმართულებით;

ბ) ამპლიკონზე დაფუძნებული მეტაგენომიური კვლევები;

გ) სრული გენომის მეტაგენომიური კვლევები;

დ) აგროგენომიკის ტრანსფორმირება NGS-ის მეშვეობით;

ე) ბიბლიოთეკის მომზადება მთელი გენომის თანმიმდევრობისთვის (WGS);

ვ) ბიოინფორმატიკული ბაზების შექმნა და ანალიზი.

12. პოლიმერების ტესტირების ლაბორატორიის ფუნქციებია:

ა) პოლიოლეფინების დეგრადაციის ხარისხის განსაზღვრა (დაჩქარებული მომწიფების პირობების შექმნის სიმულაციით);

ბ) ელემენტური შემადგენლობის განსაზღვრა;

გ) პოლიმერის სტრუქტურის, პოლიმერის ტიპის იდენტიფიკაცია.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრი **ოთარ შამუგია**